საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11110/01
26/11/2020

11110-01-2-202011261209

შპს „პოლიპლასტს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი, ჯანჯღავას ქ. N30

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 25 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N 13452 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში არ არის დაზუსტებული მანძილები უახლოეს მოსახლემდე როგორც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, ასევე უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან და დანადგარებიდან;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ზოგადი ხასიათის შემარბილებელი ღონისძიებები და არ მოიცავს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მიმართებით აკუსტიკური ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბების შემთხვევაში განსახორციელებელ კონკრეტულ შემარბილებელ ღონისძიებებს (ხმაურდამცავი ბარიერის დამონტაჟების ზუსტი ადგილმდებარეობა, მისი პარამეტრები და ეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები);
- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში დაგეგმილი ნარჩენების აღდგენის ხაზის ნედლეულით მომარაგების საკითხები, კერძოდ: იგეგმება თუ არა გადამუშავების მიზნით ნარჩენების იმპორტი. ნარჩენების სხვა ქვეყნებიდან შემოტანის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს იმპორტისთვის განკუთვნილი ნარჩენების კოდი და დასახელება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ,,საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N259 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ „ა“-თი განსაზღვრულ კოდებს და დასახელებებს;
- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენებისა და ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხები; გამოყენებული ავტოტრანსპორტის მახასიათებლები (ძარის ტიპი, ტვირთამწეობა, ა.შ.); ავტოტრანსპორტის მოძრაობის სქემა; აგრეთვე დაზუსტებას საჭიროებს თუ რა სახით იგეგმება საწარმოში გადასამუშავებელი ნარჩენების შემოტანა (დაპრესილი, დაქუცმაცებული, ა.შ.);

- დაზუსტებას საჭიროებს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენების საკითხი, ტექნოლოგიური პროცესის ეტაპზე ჩამდინარე წყლის წარმოქმნისა და აღნიშნული საწარმოო ჩამდინარე წყლების მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს (5მ, 7მ და ა.შ), საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან უშუალო სიახლოვეს არსებულ მოსახლეობასთან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის (ასევე მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს არსებულ და დამატებით ტექნოლოგიურ ხაზზე წარმოებული პროდუქციის შესახებ, კერძოდ წარმოებული პოლიეთილენის პარკები აკმაყოფილებს თუ არა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N472 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის დეტალური გეგმა, სადაც მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხი უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის სიხშირისა და კოორდინატების მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული სუნის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა;
- დამატებით ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნას განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი (მოქმედების ვადით 2021-2026 წწ).

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე